საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ახვლედიანი ლომერ ბიძინას ძე

ლ. ახვლედიანი

ახვლედიანი ლომერ ბიძინას ძე (2. X. 1934, თბილისი, 11. II. 2022, იქვე), კინოოპერატორი. საქართვ. სახ. არტისტი (1984). დაღესტნის ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1972). დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის გეოლოგიის ფაკ-ტი (1958) და საკავშ. კინემატოგრაფიის სახელმწ. ინ-ტის საოპერატორო ფაკ-ტი (1974). 1961-იდან ოპერატორად მუშაობს კინოკონცერნ „ქართულ ფილმში“, დამდგმელი ოპერატორია მხატვრული ფილმებისა: „ქვევრი“ (რეჟ. ი. კვირიკაძე, 1970), „სამკაული სატრფოსათვის“ (1971), „მზე შემოდგომისა“ (1973), „აურზური სალხინეთში“ (1975), „ნატვრის ხე“ (1976; მთავარი პრიზი და დიპლომი რიგაში X საკავშ. კინოფესტივალზე, 1977; პრიზი „ოქროს ჯიხვი“ თეირანის VI საერთაშ. კინოფესტივალზე, 1977; პრემია დონატელოს „დავითი“ იტალიაში საერთაშ. კინოკონკურსზე, 1979; რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემია, 1973; კინოპრესის საერთაშ. ფედერაციის პრემია „ფიპრესი“ კაბურში რომანტიკული ფილმების საერთაშ. კინოფესტივლზე, 1983), „სამანიშვილის დედინაცვალი“ (1977; ი. სხირტლაძესთან ერთად, პრიზი და დიპლომი საუკეთესო სახვითი გადაწყვეტისათვის კაიროს III საერთაშ. კინოფესტივალზე, 1978), „მშობლიურო ჩემო მიწავ“ (1980; ლენინური პრემია, 1986), „ცხოვრება დონ კიხოტისა და სანჩო პანსასი“ (1988), „ბესამე“ (1989), „ექსპრეს-ინფორმაცია“ (1991) და სხვ. გადაღებული აქვს დოკუმენტური ფილმები: „სვანური ჩანახატები“ (1965), „მუზეუმი ღია ცის ქვეშ“ (1972), „შექსპირის სამშობლოში“ (1980) და სხვ. როგორც რეჟისორმა და ოპერატორმა გადაიღო ფილმები: „სერვანტინო“ (1978), „ფესტივალი კონფოლანში“ (1979), „აღიარება“ (1982) და სხვ. ა-ის ყველა ნამუშევარი ორიგინ. და ავტორისეული ხელწერის მქონე ჭეშმარიტი ხელოვნების ნაწარმოებია.